სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

ლალი გიორგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლალი გიორგაძე

აბსტრაქტი

ინკლუზიური განათლების არსებობის საჭიროება სულ რამდენიმე წელია აღიარეს საქართველოში არსებულმა საგანმანათლებლო სისტემებმა და შეიქმნა შესაბამისი კანონმდებლობა, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ ინკლუზიურ განათლებაზე საუბრისას უმეტესწილად საკითხი ეხება სკოლას ან პროფესიულ განათლებას. უნივერსიტეტი სივრცეა, სადაც თითოეულ ადამიანს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება მიიღოს განათლება, სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროება კი არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი ფაქტორი.

კვლევა მიზნად ისახავას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლო პროცესებში პრობლემების აღწერას. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. რესპონდენტებს წარმოადგენენ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. ინფრასტრუქტურულ გარემოზე დაკვირვების შედეგად აღწერილია თუ რამდენად არის შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან ადაპტირებული გარემო. კვლევის შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვაწვდის, რათა შემუშავდეს სათანადო რეკომენდაციები და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.

საძიებო სიტყვები: ინკლუზიური განათლება სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროება, უმაღლესი განათლება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

Abstract

The necessity of inclusive education has been recognized by educational systems in Georgia and the relevant legislation has been created over couple of recent years. Although, it should be taken into account that when discussing inclusive education, talk is mainly about school and professional education. University is the space where every student has a right given by constitution to receive education, in which the need of special education should not be a hindering factor.

Following research aims at presenting problems that students with disabilities and special educational needs are facing in learning processes. Within the research quantitative and qualitative research methods have been used. Respondents are university staff and students. Through observation on university's infrastructural quality, research describes to what degree the university space is adapted and brought in accordance with the norms set by the law. Research findings give us valuable information for working on appropriate recommendations and the possible ways of solving the existent problems.

Keywords: inclusive education, the need of special education, higher education, individual educational plan.

მადლობა

მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომელთა მონაწილეობის გარეშე გამიჭირდებოდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ქალბატონ მაია ბიწაძეს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე მაძლევდა რჩევებს და მხარში მედგა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში.

კონსულტაციებისა და რეკომენდაციებისთვის მადლობას ვუხდი, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტს ბატონ მიშა გიორგაძეს, პროგრამის კოორდინატორს ქალბატონ სოფიკო შარაბიძეს და პროგრამის ხელმძღვანელს ქალბატონ ელენე ჯიბლაძეს.

კვლევაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ლექტორები და აკადემიური პერსონალის სხვადასხვა წარმომადგენელი. თითოეული რესპოდენტის კვლევაში მონაწილეობამ და მათ მიერ გაზიარებულმა ინფორმაციამ კვლევა გახადა მრავალფეროვანი და საინტერესო.